



# რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 14 დეკემბერი, 2022 წ. №186 (9524) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

## ეს ყველაფერი მშვიდობის და ორნიშნა ეკონომიკური ② ზრდის დამსახურებაა! ③

**ირაკლი ღარიბაშვილი:**  
სავალდებულო სამხედრო სამსახური გადავა  
მთლიანად თავდაცვის სამინისტროს სისტემაში!  
ანაკლიის პორტი აშენდება სხელმწიფოს  
51-პროცენტისანი თანამონაწილეობით  
ქუთაისის პარლამენტის შენობის გაზაზე ახალი  
IT ტექნოლოგიური ჰაბის შექმნა იგეგმება  
კორუფციის კონტროლის მიხედვით საქართველო  
მსოფლიოში მეორეოცა ადგილზე გავიდა!..

## „უსნობი“ სნეულბებბით შეპყრობილი მსოფლიო და საქართველო!..



## „დიდი შვიდეულის“ ლიდერები - რუსეთის წინააღმდეგ

„დიდი შვიდეული“ უკრაინის ფინანსური დახმარების კოორდინაციის პლატფორმას შექმნის. ამის შესახებ ნათქვამია „დიდი შვიდეულის“ ლიდერების ვირტუალური შეხვედრის შედეგად მიღებულ განცხადებაში.



„ამ პლატფორმის საშუალებით, ჩვენ განვახორციელებთ არსებული მდგომარეობის კოორდინაციას მოკლევადიანი და გრძელვადიანი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად“, - აღნიშნულია განცხადებაში.  
ამასთან, „დიდი შვიდეულის“ ლიდერები მზადყოფნას გამოთქვამენ, გააგრძელონ ერთობლივი ძალისხმევის კოორდინირება, რათა დააკმაყოფილონ უკრაინის სასწრაფო სამხედრო და თავდაცვითი საჭიროებები, უკრაინისთვის საპერსონალური თავდაცვითი სისტემებისა და შესაძლებლობების მიწოდებაზე ფოკუსით.  
დიდი შვიდეულის ლიდერები გამოხატეს რუსეთის დარტყმებს უკრაინის საზღვარს და ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაზე, რაც, მათი შეფასებით, არის სამხედრო დანაშაული, და მზადყოფნას გამოთქვამენ, დაეხმარონ უკრაინას დაზიანებული ობიექტების აღდგენაში.  
„სამხედრო დანაშაულებისა და სხვა სისასტიკებისთვის დაუსჯელობა არ უნდა იყოს. ჩვენ პასუხს ვაგებინებთ პრეზიდენტ პუტინსა და სხვა პასუხისმგებელ პირებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისად“, - ნათქვამია განცხადებაში.  
ლიდერები ასევე გამოხატეს რუსეთის „უპასუხისმგებლო ბირთვულ რიტორიკას“ და აღნიშნავენ, რომ ქიმიური, ბიოლოგიური ან ბირთვული იარაღის ნებისმიერ გამოყენებას სერიოზული შედეგები მოჰყვება.  
„რუსეთის აგრესიის ომი უნდა დასრულდეს. ამ დროისთვის, ჩვენ არ გვინახავს მტკიცებულებები, რომ რუსეთი მდგრადი მშვიდობისკენ მიმართული ძალისხმევის ერთგულია. რუსეთს შეუძლია ამ ომის დაუყოვნებლივ დასრულება უკრაინის წინააღმდეგ თავდასხმების შეჩერებით და უკრაინის ტერიტორიიდან თავისი ძალების სრულად და უპირობოდ გაყვანით. ჩვენ მივესალმებით და მხარს ვუჭერთ პრეზიდენტ ზელენსკის სამართლიანი მშვიდობის ინიციატივას“, - აღნიშნულია განცხადებაში.  
„დიდი შვიდეულის“ ლიდერების განცხადებით, ისინი შეინარჩუნებენ და გააძლიერებენ რუსეთზე ეკონომიკურ ზეწოლას, ასევე მათზე, ვინც თავს არიდებს და ძირს უთხრის ამ შეზღუდვებს. „დიდი შვიდეული“ ასევე გააგრძელებს იმ მოწყვლადი ქვეყნების დაცვას, რომლებიც სერიოზულად დაზარალებულნი არიან რუსეთის აგრესიის, ომისა და მის მიერ ენერგეტიკისა და სურსათის იარაღად გამოყენების შედეგად. „დიდი შვიდეულის“ ლიდერები ასევე ადასტურებენ თავიანთ განზრახვას, ეტაპობრივად უარი თქვან რუსულ ნედლეულზე და ნავთობპროდუქტებზე.

## საქართველო და იკითხეთ ქურნალისტური ეთიკის ყველა ნორმის დასვით გამორჩეული გაზეთი!

ქრისტიანობისთვის გადამწყვეტია ბეჭდური მედიის, ანუ ტრადიციული და ეროვნული ქურნალ-გაზეთების ხელმოწერა-გავრცელება-გადარჩენისთვის!  
ბუნებრივია, ხელმომწერთა სიმრავლე მთავარი პირობაა 105 წლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო და საინფორმაციო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აღორძინებისთვისაც...  
ამიგომაც წიგნიერ საქართველოს - ვისაც ჯერ კიდევ უყვარს კითხვა, უმორჩილესად ვთხოვთ, გამოიწერონ ჩვენი სანდო, მართალი, ქურნალისტური ეთიკის ყველა

ნორმის დაცვით გამორჩეული გაზეთი!  
ხელმოწერა შეგიძლიათ გააფორმეთ შემდეგ გამავრცელებლებთან:  
შპს „ელვაჯი“, 595 38 26 26, 2 38 26-73, 2 38 26-74;  
შპს „კლანება ფორტა“, 2 99 18 59.  
ხელმოწერასა და გაზეთის ბინაზე მიგანაში უმურველად დაგეხმარებათ თვით რედაქციასთან ურთიერთობაც - ჭაჭაჭაპის პროსპექტი №17, „საქართველოს ქურნალისტთა შემაჯავებელი კავშირის“ ოფისი, ღარიბაძე: 5 99 36 00 35, 5779 77 27 17.

## შთაბეჭდავი ზუბდიდური ალეშენებლო

2023 წლიდან 9  
შიდა ქართლის,  
რატის და კპრპის  
ალკპეტილის  
დასული  
ტერიტორიები  
იქმნება

# ეს ყველაფერი მშვიდობის და ორნიშნა ეკონომიკური ზრდის დასასურებია!

## მთავრობის სხდომის მთავარი სათქმელი



**სამხალდებულ** სამხედრო სამსახური გადავა მთლიანად თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, შეიქმნება ეფექტიანი სისტემა და პროგრამა იქნება მინიმუმ 6-თვიანი. პროექტი დაგეგმვა 80 მილიონ ლარზე მეტი და 2025 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა 12 დეკემბრის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, თავდაცვის ახალი კოდექსი დიდი სიახლე იქნება და მნიშვნელოვანი რეფორმები დაიწყება თავდაცვის სამინისტროში.

ირაკლი ლარიბაშვილმა აღნიშნა, რომ თავდაცვის კოდექსზე მუშაობა დიდი ხანი მიმდინარეობდა, დეტალურად შეისწავლეს უცხო ქვეყნების გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები დაამუშავეს. მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა „გირჩის“ მოგონილ პროგ-

## ირაკლი ლარიბაშვილი: 1. სპალდებულ სამხედრო სამსახური გადავა მთლიანად თავდაცვის სამინისტროს სისტემაში!

რამაზე, რომელიც რეალურად ახალგაზრდებს აბნევდა და სთავაზობდა ალტერნატიულ სამსახურს.

„ვეფიქრობ, ქვეყანაში არ მოიძებნება პატრიოტი, რომელიც ამ საკითხზე არ წუხს, არ განიცდის და არ ნერვიულობს. აი, ეს მავნებელი „გირჩის“ მოგონილი უმცაგვსო, ანტიინსტიტუციური, ანტიინსტიტუციური რაღაც პროგრამა, რომელიც რეალურად ახალგაზრდებს აბნევდა და სთავაზობდა ალტერნატიულ სამსახურს. ეს ჩვენ კარგად ვიცით, რომ იყო ფიქტიური, ვითომ რაღაც რელიგიური სამსახური. ეს იყო ყველაზე დიდი მკრეხელობა და სისაძაგლე, პირდაპირ დავარქმევ ამ სახელს. არ შეიძლება ამაზე თვალი დახუჭოთ და ჩვენი ვალია, რომ ეს საკითხი მოვაგვაროთ და მოვაგვარეთ კიდევ!“

ალმოიფხვრება საკანონმდებლო ხარვეზი, რაც გამოირიცხავს არაკეთილსინდისიერი და ფიქტიური რელიგიური ორგანიზაციების არსებობის შესაძლებლობებს.

„ალმოიფხვრება ეს საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც მანამდე ბატონმა ზურაბ ჯაფარიძემ, დიდი პატივია ამ მთავრობის სხდომაზე მისი გვარის სხენება, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს იყო ყველაზე დიდი მავნებლობა, რომელიც მან ჩაიდინა ქვეყნის ახალგაზრდობის და ჩვენი მომავალი თაობის წინაშე, ამიტომ, დაიხურება ეს ხარვეზი, ალმოიფხვრება და გამოირიცხება მათი არაკეთილსინდისიერი, ეს ფიქტიური, ვითომ რელიგიური ორგანიზაციების შესაძლებლობა. ეს საკითხი გავლილი გვაქვს ჩვენ ასევე საპარტიოარქოსთანაც და, შესაბამისი ჩანაწერის მიხედვით, აღნიშნული საკითხი მოგვარდება ერთხელ და სამუდამოდ. ჩვენ აღარ მივცემთ ამ მავნებლებს ჩვენი ახალგაზრდა, ჯანსაღი თაობის არასწორ გზაზე დაყენების საშუალებას. ადამიანს უფუნბოდნენ პირდაპირ, რომ თავი აარიდე შენს მთავარ კონსტიტუციურ მოვალეობას. ამაზე დიდი მავნებლობა და მტრობა შენი ქვეყნის, რა შეიძლება იყოს? ასე რომ, ეს საკითხიც მოგვარებულია.“ - აღნიშნა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ 23 წლამდე სტუდენტები, რომლებიც გადაწყვეტენ, რომ სამხედრო წვრთნა გაიარონ სტუდენტობის პერიოდშივე, 4 წლის ვადაში შექმნება პროგრამაში ჩართვა, წელი-

წადში დაახლოებით 1-თვიანი ინტენსიური მომზადების პროგრამა ექნებათ სამხედრო ბაზებზე და იდენტურ, ძირითად სამხედრო მომზადების პროგრამას გაივლიან.

როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, პროგრამის ამოქმედებიდან 4 წლისთავზე, წელიწადში დაახლოებით 10 000 წევრადგულს მოამზადებს თავდაცვის სამინისტრო, პროგრამის სრულად ამოქმედების შემდეგ კი, 10 წელიწადში, მინიმუმ 100 000-კაციანი რეზერვი ეყოლება ქვეყანას.

ირაკლი ლარიბაშვილმა თავდაცვის ახალ კოდექსზე საუბრისას ასევე აღნიშნა, რომ სამხედროებისთვის ბინების მშენებლობა სახელმწიფოს ვალდებულება იქნება, დაჭრა- დასახიჩრების შემთხვევაში, დახმარება 7000 ლარის ნაცვლად - 20 000 ლარი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დალუპვის შემთხვევაში კი ერთჯერადი დახმარება 30 000 ლარი იქნება.



ირაკლი ლარიბაშვილის თქმით, ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროს, ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის დალუპვის შემთხვევაში, კომპენსაცია 100 000 ლარით განისაზღვრა, და ეს აჩვენებს ხელისუფლების დამოკიდებულებას სამხედროებისა და პოლიციელების მიმართ.

## 2. ანაკლიის პორტი აშენდება სახელმწიფოს 51-პროცენტისა თანამონაწილეობით

ჩვენი გადამწყვეტილებით, ანაკლიის პორტი აშენდება სახელმწიფოს თანამონაწილეობით, სადაც 51%-ის მფლობელი იქნება სახელმწიფო. დანარჩენზე ჩვენ გამოვაცხადებთ საერთაშორისო კონკურსს და შევარჩევთ პარტნიორებს, პარტნიორ კომპანიებს. ესაა მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც მინდა ვაცნობო ჩვენს საზოგადოებას, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ჯერ კიდევ 2016 წელს იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომ ეს პორტი აშენებულიყო. ეს ყველას კარგად მოგეხსენებათ. მანამდე, ჯერ კიდევ ჩემი პირველი პრემიერობის დროს, ჩვენ ღიად ვსაუბრობდით ყველგან ამ საკითხზე, ყველა ტრიბუნასა და პლატფორმას ვიყენებდით ამისთვის, მათ შორის, გაეროს ტრიბუნაზეც განაცხადებდით, რომ ჩვენი ვალდებულება ინტერესი და პრიორიტეტი არის ამ პორტის აშენება. 2016 წელს გაფორმდა ხელშეკრულება, შერჩეულ იქნა ინვესტორი, კარგად მოგეხსენებათ ყველას, თუ ვინ არის ეს ევრეთ ნოვატეხის ინვესტორი, რომელმაც ვერ შეასრულა თავისი ვალდებულება, ანუ ეს პორტი არ ააშენა. ამ ვალდებულების მიხედვით, ჩვენ უნდა მიგველო პირველი გემები 2020 წელს! რამდენჯერმე გადაუწყვიტა მთავრობამ ვალდებულება, 3-ჯერ, 4-ჯერ! ამის მიუხედავად, ინვესტორმა მაინც ვერ შეძლო ინვესტიციების მოზიდვა. თავად ბატონ ხაზარაძეს და მის პარტნიორს, ჯაფარიძეს 3 მლნ დოლარი აქვთ დახარჯული, ჩემი ინფორმაციით, დანარჩენი მოზიდული აქვთ ინვესტორებისგან, 20 თუ 25 მლნ დაახლოებით. სანაცვლოდ, მთავრობისგან ითხოვდა ტერიტორიის გარანტიას, მინა ჩვენი იყო, და მინა უნდა გადაგვეცა და გადაგვეცით კიდევ, გზების, რკინიგზის მიყვანას, ასეულობით მლნ უნდა დაეხარჯა მთავრო-

ბას და სანაცვლოდ არაფერი არ უნდა მიეღო. ანუ რეალურად ეს იყო საჩუქარი ბატონ ხაზარაძისთვის. მას შემდეგ, რაც 4-5 წლის მერე ჩააგდო ეს პროექტი და ვერ განახორციელა, მას შემდეგ გადაწყვიტეს ამ ადამიანებმა, რომ გაძარცვონ ჩვენი ქვეყანა და რატომ, - უჩივლეს ქვეყანას, არ ბიტირებენ წაიღეს საქმე და დღეს ედავებიან მილიარდ ხუთას მილიონ დოლარს. წარმოგიდგინათ, რა ხდება, ადამიანმა 5 წელში ვერ შეასრულა ვერც ერთი ვალდებულება, ჩააგდო პროექტი, პორტი არ ააშენა და დღეს ჩვენს ქვეყანას და ხალხს ედავება მილიარდ ხუთას მილიონს. ეს არის ძარცვის კლასიკური სქემა და ჩვენ კარგად ვიცით, რა თქმა უნდა, რომ არავითარი რეალური, გულწრფელი, კეთილსინდისიერი მიზანი და ზრახვა ამ პორტის აშენების მიღმა არ იდგა, ეს იყო ჩვეულებრივი გამდიდრების და ძარცვის იდეა.

ამიტომ, ჩვენ ახლა, ამის თაობაზე მე დავავალე ეკონომიკის სამინისტროს, მიდის აქტიური მუშაობა, ვამზადებთ ახალ ტენდერს, კონკურსს, მაგრამ მთავარი მინდა ვაცნობოთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილებით, ანაკლიის პორტი აშენდება სახელმწიფოს თანამონაწილეობით, სადაც 51%-ის მფლო-

ბელი იქნება სახელმწიფო. დანარჩენზე ჩვენ გამოვაცხადებთ საერთაშორისო კონკურსს და შევარჩევთ პარტნიორებს, პარტნიორ კომპანიებს, ესაა მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც მინდა ვაცნობო ჩვენს საზოგადოებას. ეს პროექტი არის მიტოვებული, ადგილი არის გაპარტახებული, კარგად მოგეხსენებათ, ანაკლიაში რაც ხდება ახლა, მტერის ბუდედ გადააქციეს ეს ადგილი. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი, ჩვენ სასწრაფოდ უნდა შევარჩიოთ ახლა საერთაშორისო პარტნიორი კომპანიები და ჩვენც უნდა დავიწყოთ ინვესტირება ამ პროექტში. ეს პროექტი განსორციელდება ჩვენი თანამონაწილეობით, სახელმწიფო განახორციელებს ამ პროექტს უცხოურ კომპანიებთან თუ სხვა კომპანიებთან ერთად, ეს არის ჩვენი გადაწყვეტილება.“ - განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურმა ასევე ისაუბრა ფოთის პორტზე, არსებული პორტის განახლებასა და გაფართოებაზე. როგორც პრემიერმა აღნიშნა, პორტების განვითარება მთავრობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

**პრემიერ-მინისტრმა ისაუბრა ჰესების მშენებლობასა და დამატებითი სიმძლავრე-**

ების შექმნაზე. მთავრობის მეთაურის თქმით, იგეგმება თბოსადგურების მშენებლობაც და დამატებით 600 მეგავატი სიმძლავრის მიღება, რაც ჯამში, მომდევნო 2-3 წლის განმავლობაში, 3-4 მილიარდი დოლარის ინვესტიციაა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ დაგროვებული 800 მეგავატის მეორად-დუმი გაშვება. წლის ბოლოს 1500 მეგავატზე გამოცხადდება ტენდერი, 2023 წელს კი, დამატებით მეგავატებს გამოიტანენ, როგორც პილოტულექტროსადგურების, ისე ქარის და მზის სადგურებზე.

მთავრობის მეთაურის თქმით, თბილისსა და ბათუმში, აეროპორტებში მთავრობა 400-500 მილიონი დოლარის ინვესტიციას ელოდება. როგორც პრემიერმა აღნიშნა, ამ მიმართულებით მთავრობამ მუშაობა უკვე დაიწყო და სიახლეები მოგვიანებით გასცხადება ცნობილი.

„ჩვენ გვქონდა ეკონომიკურ საბჭოზე მსჯელობა აეროპორტებთან დაკავშირებით. ვთქვამთ პირდაპირ, რომ თბილისის არსებული აეროპორტი ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. ჩვენ გვინდა თანამედროვე, ძლიერი, გამართული ინფრასტრუქტურა, თავისი კარგო ტერმინალებით, ბიზნესავიაციით, გვინდა მოხდეს ახალი ტერმინალების აშენება, და ჩვენ ამ მიმართულებით უკვე დავიწყეთ აქტიური მუშაობა.“

სიახლეებს მოგვიანებით შევატყობინებთ საზოგადოებას, მაგრამ, ჯამში, თბილისსა და ბათუმში, აეროპორტებში ჩვენ ველოდებით 400-500 მილიონი დოლარის ინვესტიციას. ქუთაისში ჩვენ გვაქვს ასევე დამატებითი ხედეა, შეიძლება დამატებით კარგოს მიმართულება განვითარდეს და, ჯამში, სერვიოზული ინვესტიციები გამოგვივა“, - განაცხადა პრემიერმა.



















### უთაბეჭდავი

## ზუგდიდური აღმშენებლობა

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რაც ზუგდიდში 2022 წელს მოხდა არის ქალაქის ცენტრში არსებული ყოფილი სასტუმრო „ოდიშიდან“ თითქმის 30 წლის განმავლობაში განთავსებული დევენილების „გამოსახლება“! ყველა მათგანი დაკმაყოფილდა კეთილმოწყობილი ბინით. ყოფილი სასტუმროს მეორე და მესამე სართულების აივნებზე ტრანსფორმაციებით გამოყენილი ფერად-ფერადი საბნები, ბალიშები, თეთრფული, ტანსაცმელი და საცვლებიც კი ძალიან არასასიამოვნოდ და გამაღიზიანებლად გამოიყურებოდა. ყოფილი სასტუმროს ფასადს გაუკეთდა რემონტი, რამაც ისედაც კეთილმოწყობილი ზუგდიდი კიდევ უფრო გაააღამაზა.

ასევე ძალიან გაახარა ზუგდიდელები, ყოფილი რაიონული საავადმყოფოს ტერიტორიაზე დიდი მოცულობის „ზუგდიდი მოლის“ აშენებამ, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ გაიხსნა. მყიდველს შეუძლია შეიძინოს ფართო ასორტიმენტის როგორც ქართული, ისე უცხოური სასურსათო თუ სამრეწველო საქონელი.

კიდევ უფრო დამშვენდა და კეთილმოეწყო ზუგდიდელთა „საფიზიკო ბარათი“ – ცენტრალური ბულვარის ბოლოში მ-19 საუკუნის მეორე ნახევარში ზუგდიდის ოლქის პირველი მმართველის რაფიელ ერისთავის თაოსნობით გაშენდა. „ნაცების“ მიერ მოწყობილი უსახური შადრევანი უფრო ლამაზად შედარებით შეიცვალა. სამწუხაროა, რომ დღემდე ვერ ხერხდება პროექტით გათვალისწინებული ბულვარის შეერთება დადიანების სასახლეთა კომპლექსთან და ბოტანიკურ ბაღთან.

ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდი-


ას სახელობის ბიბლიოთეკის მშენებლობა, სადაც ბიბლიოთეკასთან ერთად განთავსდება უნიკალური სპორტის მუზეუმი, რომელსაც ახლა არაშესაფერისი ფართობი უკავია. მშენებლობა მომავალი წლის დეკემბერში დასრულდება. ამავე პერიოდში შევა ექსპლუატაციაში შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ახალი ნაგებობა, ორი დარბაზითა და ყველა საჭირო ატრიბუტებით. თეატრის მშენებლობას ასორციელებს ფონდი „ქართუ“, რომლის ღირებულებაც 20 მილიონ ლარს შეადგენს.

ეს არის, რაც გაკეთდა და კეთდება ზუგდიდში, ხოლო რაც აღეგებს და აწუხებს ზუგდიდელებს, არის კეთილმოწყობილი ტუალეტებისა და უფასო სასმელი წყლის, ენ „სოკოების“ უქონლობა. არდა, ეს აუცილებელია, რომლითაც ისარგებლებენ როგორც ადგილობრივები, ისე ქალაქში ჩამოსული ტურისტები თუ ვიზიტორები.

დაბოლოს, ახალი ხელმძღვანელი ჰყავს საზოგადოება „ზუგდიდელს“, რომელიც 1993 წელს ჩამოყალიბდა. 2008 წლიდან გარდაცვალებამდე „ზუგდიდელის“ თავკაცი იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბატონი ოთარ ფაცაცია. ის შარშან 92 წლის ასაკში აღესრულა და მის მოვალეობას მისი მოადგილე ბატონი მურმან ნაჭყებია ასრულებდა. საზოგადოების წევრებმა „ზუგდიდელის“ მე-4 ყრილობაზე სწორედ ის ერთხმად აირჩიეს საზოგადოების თავჯდომარედ. მისი განცხადებით, „ზუგდიდელი“ გააგრძელებს მთავარი ფუნქციის შესრულებას – იყოს შუამავალი ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

ლადო ძირია, ზუგდიდი

## 2023 წლიდან შიდა ქართლის, რაჭის და კვერთხის ალკატილის დაცული ტერიტორიები იქმნება



2022 წლის 11 თვის განმავლობაში საქართველოს დაცული ტერიტორიების 882 352 ვიზიტორი ესტუმრა, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეს 54%-ით გაზარდილი მაჩვენებელია. რადიო „კომერსანტის“ დილის ეთერში დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ კუსიდიმ განაცხადა, რომ 2023 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შედის კანონი შიდა ქართლში, რაჭაში და საჩხერის მუნიციპალიტეტში (კვერთხის ალკატილი) დაცული ტერიტორიების შექმნის შესახებ. მთავარი მოლოდინი კი 2023 წლისთვის პანდემიამდე ნიშნულზე დაბრუნებაა, როცა დაცული ტერიტორიებზე ვიზიტორთა რიცხვი 12 მლნ იყო.

ბესიკ კუსიდიმ თქმით, დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორების ზრდა ობიექტურად დამატებითი სერვისების შეთავაზებითაა გამოწვეული.

ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დაცული ტერიტორია მარტვილის კანონია, სადაც დღეის მდგომარეობით ვიზიტორებს შეუძლიათ ზიპლაინით ისარგებლონ, რომლის მემფეობითაც ისინი კა-

ნიონში მოხვდებიან. წალკის კანონი მიმდინარე წლის ზაფხულიდან ფუნქციონირებს და უკვე მესამე ადგილზეა დაცული ტერიტორიების ვიზიტორების რაოდენობით. მას უკვე 10 000 ადამიანი ესტუმრა, – განაცხადა ბესიკ კუსიდიმ. მისი თქმით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რაც დაცული ტერიტორიების სააგენტომ განახორციელა ფშავ-ხევსურეთის ვიზიტორთა ცენტრის გახსნაა, რაც სააგენტოს ვიზიტორების აღრიცხვიანობაში დაეხმარება და ტურისტების უსაფრთხოებასა და კომფორტსაც უზრუნველყოფს.

ბესიკ კუსიდიმ „კომერსანტის“ ეთერში ყაზბეგის, ფშავ-ხევსურეთის და თუშეთის დაცული ტერიტორიების დამკავშირებელი ახალი მარშრუტის შესახებაც ისაუბრა. მისი თქმით, ბილიკზე მთამსვლელებისა და ტურისტებისთვის თავშესაფრებაც მოეწყობა, რაც ვიზიტორების ამ მარშრუტით დაინტერესებას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

მომავალა მამა ბიბილაშვილი

## საქართველოს ეროვნული ბანკის განცხადება

აზიის ზოგიერთი ქვეყნიდან საქონლის იმპორტირებისას ირანის ისლამური რესპუბლიკის სატრანზიტო კორიდორის გამოყენების შემთხვევებთან დაკავშირებით, საქართველოს ეროვნული ბანკი განცხადებას ავრცელებს.

„ბოლო თვეების განმავლობაში, „კოვიდ-19“ პანდემიის გამო, მნიშვნელოვნად გაზარდილი სატრანსპორტო ხარჯების შემცირების მიზნით, აზიის ზოგიერთი ქვეყნიდან საქონლის იმპორტირებისას ირანის ისლამური რესპუბლიკის სატრანზიტო დერეფნის გამოყენების შემთხვევები დადასტურდა. ირანის მიმართ აშშ-ის სრულმასშტაბიანი სანქციების მოქმედების პირობებში, ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან ადა ირანული წარმოშობის საქონელთან პირდაპირ (ირიბად დაკავშირებული საბანკო ტრანზაქციები, მათ შორის ირანის ტერიტორიის გავლით ან ირანში რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებით (საპაერო, საზღვაო, სახმელეთო, საჰაერო) ტვირთების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საბანკო ანგარიშსწორება შესაძლებელია, აშშ-ის მიერ დაწესებული საერთაშორისო სანქციების დარღვევად ჩაითვალოს. ასეთი გარიგებები, საბანკო სექტორის საკორესპონდენტო ურთიერთობების ფარგლებში, უცხოურ ვალუტაში ქვეყნის გარეთ ტრანზაქციების განხორციელების შეფერხების რისკს წარმოშობს.



აშშ-ის მიერ დაწესებული საერთაშორისო სანქციების მოთხოვნების დაცვის მიზნით, კომერციული ბანკები ვალდებული არიან, ირანთან დაკავშირებული პირების მიმართ გაატარონ გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები, ასევე განახორციელონ ირანთან დაკავშირებული ტრანზაქციების გაძლიერებული მონიტორინგი და სანქციების დარღვევის რისკის არსებობის შემთხვევაში, მსგავსი ტიპის ტრანზაქციები არ შეასრულონ.

ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების ჩართულობით შემუშავდა დებულება, რომელშიც დეტალურადაა განსაზღვრული ის მოთხოვნები, რომელთა დაცვაც კომერციული ბანკების მიერ საერთაშორისო სანქციების მოთხოვნების დარღვევის რისკებს მნიშვნელოვნად შემცირებს. აღნიშნული დოკუმენტის შესრულება საავადმყოფოა ყველა კომერციული ბანკისთვის და მიზნად ისახავს საერთაშორისო საკორესპონდენტო ურთიერთობებთან დაკავშირებული რისკების შემცირებასა და სანქციების რეჟიმთან შესაბამისობას. დამატებით, კომერციული ბანკები უფლებამოსილი არიან, თავიანთი შიდა პოლიტიკა – პროცედურების თანახმად, კიდევ უფრო მკაცრი კონტროლის მექანიზმები გამოიყენონ“

## 5 მიზეზი, თუ რატომ უნდა გაატარო ზამთრის არდაღებები საქართველოში!



საერთაშორისო ტურისტული გამოფენა ITB Berlin-ის ოფიციალური ვებგვერდი საქართველოს ტურისტული პოტენციალის და ზამთრის კურორტების შესახებ, ვრცელ სტატიას აქვეყნებს. სტატია მოგზაურებს ახალი დანიშნულების ადგილების აღმოჩენაში დაეხმარება.

2023 წელს ITB Berlin-ის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე საქართველო მასპინძელი ქვეყნის სტატუსით წარდგება.

მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, გამოფენის ოფიციალურმა ვებგვერდმა საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ მორიგი სტატია გამოაქვეყნა. ITB Berlin-ის ციფრულ პლატფორმაზე მოცემულია უახლესი ინფორმაციები ტურიზმის ინდუსტრიისა და ITB-ის საერთაშორისო გამოფენების შესახებ.

„თავგადასავლების მოყვარულთათვის საქართველოს მთიანი პეიზაჟები ათწლეულებია მიმზიდველია. ზამთრის ეს სეზონი განსაკუთრებული იქნება, რადგან 2023 წელს ბაკურიანი თხილამურითა და სნოუბორდით თავისუფალი სტილით სრიალში მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს. თქვენ შანსი გაქვთ მსოფლიოში ერთ-ერთ დიდ სპორტულ ღონისძიებას დაესწროთ, ასევე თქვენი შესაძლებლობები მოსინჯოთ ზამთრის სპორტში. საკმაოდ პოპულარულია ბაკურიანი, ისევე როგორც საქართველოს სხვა სამთო კურორტები. საქართველოს კურორტებზე გამორჩეული თოვლი და საერთაშორისო სტილდარტების შესაბამისი თანამედროვე ინფრასტრუქტურა დაგხვდებათ“, – წერს ITB საქართველოს შესახებ.

სტატიაში აღწერილია საახალწლო ტრადიციები და სტუმარ-მასპინძლობა.

## ბუნებრივი გაზის ტარიფები უცვლელი დარჩა

საბრტყელო ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) მიერ საჯარო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფები უცვლელი დარჩა.

სემეკის ინფორმაციით, ტარიფების შენარჩუნება განპირობებულია სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკით სოციალური გაზის ხელმისაწვდომობაზე და ტარიფში შემავალი კომპონენტების, მათ შორის აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გაძვლითი კურსის სტაბილურობით.

სემეკის თავმჯდომარემ, დავით ნარმანიამ საჯარო სხდომაზე აღნიშნა, რომ მომდევნო წლების განმავლობაში საყოფაცხოვრებო მომხმარებლები გადაიხდიან ბუნებრივი გაზის იგივე ტარიფს, რასაც აქამდე იხდიდნენ.



# დედა ქეთევანი (ნორა კვიციანი) ბარდაისვალი

ნორა კვიციანი სააკაშვილის ხელისუფლების დროს დააკავეს და მხოლოდ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დატოვა საპატიმრო. მან ციხეში 6 წელი გაატარა. ის 2006 წლის 29 ივლისს დააკავეს და სისხლის სამართლის სამი მუხლით (მითვისება, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა, ხელმძღვანელობა ან მასში მონა-



წილეობა და ცეცხლსასროლი იარაღის შექმნა-შენახვა) გაასამართლეს.

ნორა კვიციანი 2012 წლის ნოემბერში, ხელისუფლების ცვლი-

ლების შემდეგ გაათავისუფლეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ნორა არღვლიანი (კვიციანი) ყველა ეპიზოდში გაამართლა. მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა განაჩენის გადასინჯვის გადაწყვეტილება მიიღო. ხელახალი გამოძიებით დადგინდა, რომ ნორა არღვლიანს თავისუფლება უკანონოდ აღუკვეთეს და ბრალდება ყალბი მტკიცებულებების საფუძველზე წარუდგინეს.

ნორა კვიციანი მონაზვნად აღიკვეცა და მსახურებდა დედა ქეთევანის სახელით.

## არღვიწყობა



# ოპარბეი ძიასუიკა

ქართველ მშენებელთა რიგებს გამოაკლდა მაღალი კვალიფიკაციის ინჟინერ-მშენებელი, სამშენებლო საქმის პროფესიონალი და კარგი ორგანიზატორი. მისი სახით ქართველ საზოგადოებას, ოჯახს, მეგობრებს და კოლეგებს დააკლდა ღირსეული მამულიშვილი, შესანიშნავი მეოჯახე, მეგობარი და კოლეგა.

ბატონი ოპარბეი ძიასუიკა დაიბადა 1955 წელს საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელისა და გულშემატკივრებისათვის საყვარელი პიროვნების ნიაზ ძიასუიკას ოჯახში. 1978 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.

1980-95 წლებში მუშაობდა მშენებლობის სამინისტროს სისტემაში სამუშაოთა მწარმოებლად, სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად და უფროსად.

1996-2002 წლებში მუშაობდა საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს დეპარტამენტის უფროსად და მინისტრის მოადგილედ.

მისი უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ქ. თბილისში აშენებული იქნა სამრეწველო, კულტურულ-საგანმანათლებლო, საყოფაცხოვრებო და კომუნალური დანიშნულების ობიექტები.

ჩვენგან წავიდა შესანიშნავი მოქალაქე და მეოჯახე, მაღალი კვალიფიკაციის მშენებელი, კოლეგა და მეგობარი.

უფალმა ნათელში დაუმკვიდროს მას მარადიული სასუფეველი.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია, სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“,

მეგობრებისა და კოლეგების სახელით:

მერაბ ნიკოლაიშვილი, ოპარბეი გვილაშვილი, თეიმურაზ ჯანაშია, ნოდარ თოფურია, ვაჟა ნადირაშვილი, ბასილ თულაშვილი, დავით დოლონაძე, ანზორ ჩოგოვაძე.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, არქიტექტორთა და მშენებელთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი ლეონი მწუხარებით იუნჯებიან, რომ გარდაცვალება ცნობილი მშენებელი, ფონდის დამფუძნებელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი

# ოპარბეი (ოპარ) ნიაზის-ძე ძიასუიკა

და თანაგრძობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

ვაჟა ნადირაშვილი, მერაბ ნიკოლაიშვილი, ანზორ ჩოგოვაძე, დავით გურგენიძე, დავით დოლონაძე, როლანდ მიქაუტაძე, ბიორბი ავსა-ჯანიშვილი, ბიორბი სალუქვაძე, ირაკლი კიზირია, ოთარ ჭითანაშვილი, რევაზ მახვილაძე

## მიუას ელექტრონული სიბერების მოხარება შეუზღუდას!

მიხეილ სააკაშვილს ელექტრონიკის განვითარების მოხარება შეუზღუდას. „ქრონიკამ“ ექსკლუზიურად გააკვირა, რომ გადაწყვეტილების მიზეზი მსჯავრდებულის მიერ ჭარბი მოხმარებაა. ამ ფონზე ექიმების რეკომენდაცია, მას შეეზღუდას ელექტრონიკის განვითარების მოხმარება.



„ბრალდებული / მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი იღებდა დიდი რაოდენობით ელექტრონიკის სიბერებს, რაც განდა საფუძველი იმისა, რომ სამედიცინო დანახვებში მის მკურნალ ექიმთა ჯგუფს, ასევე პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის დანაყოფს მიეღო გადაწყვეტილება, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მას შეეზღუდა ელექტრონული სიბერების მოხმარება“.

„ბრალდებული / მსჯავრდებული მიხეილ სააკაშვილი იღებდა დიდი რაოდენობით ელექტრონიკის სიბერებს, რაც განდა საფუძველი იმისა, რომ სამედიცინო დანახვებში მის მკურნალ ექიმთა ჯგუფს, ასევე პენიტენციური დეპარტამენტის შესაბამის დანაყოფს მიეღო გადაწყვეტილება, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მას შეეზღუდა ელექტრონული სიბერების მოხმარება“.

რაც შეეხება წინაში კვების საკითხს, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ პოლიტიკური სპეკულაციისათვის იყენებს. ადვოკატი ადასტურებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფმა საქართველოში ჩამოსვლამდე კუჭის ოპერაცია გაიკეთა.

## ირაკლი კობახიძე: რაც მეტი განხილვა და ქარისი იქნება ამ პოლიტიკურ პარტიის, მით მეტი სტაბილურობა იქნება ქვეყანაში



„რაც ამ პარტიაში ხდება არის საოცრება. გუშინწინ დატოვა პარტია ნონა მამულაშვილი და თავმჯდომარის არჩევნებში იღებს მონაწილეობას. სრული ქაოსია, რაც კარგია იმისთვის, რომ სწორად განვითარდეს ქართული დემოკრატია. რაც მეტი განხილვა იქნება, ქაოსი იქნება ამ პოლიტიკურ პარტიაში, მით მეტი სტაბილურობა იქნება ქვეყანაში. საინტერესოც არ არის ამ პოლიტიკურ პარტიაში რა ხდება. საინტერესოა ერთადერთი ის, რომ ეს პარტია თანდათან სუსტდება, ამას უყურებს საზოგადოება და ეს არის კარგი, რომ ჯანსაღი მიმართულებით განვითარდეს პოლიტიკური პროცესები საქართველოში. ერთმანეთზე უნდა შევხედოთ და ბნელი კანდიდატები ჰყავს ამ პოლიტიკურ პარტიას, ეს არის ყველაზე კარგი, რაც უნდა აღინიშნოს. საზოგადოება ამას დაინახავს და გააკეთებს არჩევანს სრულ სიბნელესა და სინათლეს შორის. სიბნელეში ვგულისხმობ სიბნელეს, ყველანაირი გაგებით“.

# საქართველოს პროკურატურის კიდევ ერთი ეფექტური გამოძიება

პროკურატურამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, კიდევ ერთ საქმეზე ეფექტური გამოძიება ჩაატარა. აღნიშნულ საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით და დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით გადაამტკიცების ფაქტზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნა დაიწყო. საქმეზე განახლებული გამოძიების ფარგლებში დამატებით მოპოვებული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ 2008 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა, დაკავებულს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცენა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა სხეულის სხვადასხვა არეში დაზიანებები მიიღო.

დადგინდა, რომ 2008 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა, დაკავებულს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაცენა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა სხეულის სხვადასხვა არეში დაზიანებები მიიღო.

დანიშნული სასჯელის სახედ და ზომად წ-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

# რძლის მკვლელობის ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ხელგაჩაურის მუნიციპალიტეტში მომხდარი ოჯახის წევრის განზრახ მკვლელობის ფაქტზე, ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

მოძიების მასალებით ასევე დგინდება, რომ ბრალდებული სისტემატიურად იღებდა ალკოჰოლურ სასმელს, გააჩნდა ფსიქიკური პრობლემები, რასთან დაკავშირებითაა მიმდინარე წლის თებერვალში ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მკურნალობის კურსს გადიოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 11 დეკემბერს, ხელგაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტის დროს, ბრალდებულმა, მასზე რეგისტრირებული სანადირო თოფიდან რძალს ესროლა, რომელიც მიყენებული დაზიანების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა. გა-



პოლიციამ აპარატი მომხდარ მკვლელობის ფაქტზე 1 პირი სხელ კვალები დააპაპა

სამართალდამცველებმა ბრალდებული იმავე დღეს დააკავეს. მას ბრალდება წარუდგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ღვანულადი მეგზევე ინიციატივა 80 წლისაა

გაუზინ, 13 დეკემბერი, მისი დაბადების დღე იყო!

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება დიდი პატივისცემით ვულოცავთ დაბადებიდან 80 წლის იუბილეს ვეტერან მეგზევეს ბატონ **გივი ბაგნიძეს** და ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ შემოქმედებით საქმიანობას, როგორც საგზაო დარგის, ისე თავისი დიდი ოჯახის საკეთილდღეოდ.

ბატონი **გივი** თავისი მრავალი ათეული წლის შრომით საქმიანობის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საგზაო მშენებლობის პროვლერს და კავებულ შეზღუდული შესაძლებლობის საზოგადოებებს. იგი ახორციელებდა საავტომობილო გზების კვლევა-ძიებისა და დეტალური პროექტირების სამუშაოებს, მისი უშუალო ხელმძღვანელობით არის მრავალი საპასუხისმგებლო გზა დაპროექტებული საქართველოში, იგი ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და თავის მრავალმხრივ სიღრმისეულ ცოდნას უანგაროდ გადასცემდა სტუდენტებსა და ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებიც დღეს წარმატებული პროფესიონალები არიან. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა ნებისმიერ კოლექტივში, სადაც კი მას უმუშავია და რასაკვირველია საგზაო დარგის დიდ კოლექტივშიც.

**გივი** არის შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუა.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ბატონო **გივი**, სახელოვანი იუბილეს და გისურვებთ პირველ რიგში ურყევ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და კვლავაც მრავალი წელი გემშრომით თქვენებური შემართებით ჩვენი ქვეყნის, საგზაო დარგის და თქვენი დიდი ოჯახის საკეთილდღეოდ.

**თამაზ შილაკაძე;**

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების  
თავმჯდომარე, აკადემიკოსი



## მარიამ ბიგვაჟას ნარმატივა ეპროპიზიასა

„ძალიან ემოციურია ეს დახვედრა მარიამისთვის. რაც მთავარია, ჩვენი „რანინელები“ აქ არიან. ამ ბაგზევებმა ერთგვარი კომუნა შექმნეს თანამედროვე ქართული სიმღერის, ხარისხიანი მუსიკის, და ის სიყვარული, რომელიც მათ აერთიანებთ, არის ძალიან ამაღლებველი.“

ძალიან ამაყნი ვართ ჩვენი დელეგაციით საბავშვო ევროვიზიაზე, ჩვენი მუსიკალური ნომრით.

ბევრი საუბარია, დაიწყო თუ არა საქართველო. რა თქმა უნდა, ამაზე შეგვიძლია, ვისაუბროთ, თუმცა მესამე საპრიზო ადგილი არის ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება. მარიამ ბიგვაჟამ კონკურსზე ძალიან ბევრ კარგ შემსრულებელს და ბევრ კარგ ნომერს სათანადო კონკურენცია გაუწია. კმაყოფილები და ბედნიერები ვართ, ეს იყო ნამდვილად ძალიან კარგი სანახაობა. რა თქმა უნდა, ყოველთვის გვინდა მოგება, რაც შეგვიძლია კიდევ. თუმცა, სიმართლე გითხრათ, მესამე ადგილი ჩვენთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და დასაფასებელი. მადლობა ჩვენს მაცურებელს და ყველა პირველარხელს მხარდაჭერისთვის“ - განაცხადა საქართველოს პირველი არხის გენერალურმა დირექტორმა, თინათინ ბერძენიშვილმა

საბავშვო ევროვიზია 2022-ის ქართველი მონაწილე მარიამ ბიგვაჟა, საქართველოს დელეგაციისთან ერთად, სომხეთიდან დაბრუნდა. საქართველოს პირველი არხის შენობასთან მარიამ ბიგვაჟას პროექტ „რანინას“ მონაწილეები და ტელევიზიის თანამშრომლები დახვდნენ და მესამე საპრიზო ადგილზე გასვლა მიულოცეს.

ევროვიზიის გამარჯვებული საფრანგეთის წარმომადგენელი გაბ-და კონკურსანტი 203 ქულა მიიღო. მეორე ადგილზე სომხეთის წარმომადგენელი გავიდა 180 ქულით. 161 ქულა საქართველოს წარმომადგენელმა მარიამ ბიგვაჟამ მიიღო.

## მორიბი ჩხრაკა

### ეპროპარლამენტის ოფისებში

ბელზიის ფედერალური პროკურატურის განცხადებით, ბრიუსელის პოლიციამ 12 დეკემბერს კორუფციულ სკანდალთან დაკავშირებით, ჩხრეკის ახალი სერია დაიწყო.

სამართალდამცველებმა 19 საცხოვრებელი სახლი და ოფისი გაჩხრიკეს. მათ შორის ევროპარლამენტის ოფისები. ამ დროისთვის 6 ადამიანი დაპატიმრებული, მათგან 4 ამ დრომდე დაკავებულია. პროკურატურაში ასევე აცხადებენ, რომ 3 სხვადასხვა ადგილას ასობით ათასი ევრო ამოიღეს: 600 000 ევრო ერთ-ერთ ექვმიტანილის სახლიდან, რამდენიმე ათასი ევრო ბრიუსელის ერთ-ერთი სასტუმროდან და 150 000 ევრო ერთ-ერთი ევროპარლამენტის ბინიდან. ამასთან, უწყების ცნობით, 4 ექვმიტანილი სასამართლოს წინაშე დღეს წარდგება.



## ტურისტები გაყინულ ტბაში ჩასვივდნენ

სამძებრო-სამაშველო ოპერაცია მიმდინარეობს მას შემდეგ, რაც პოლიციამ განაცხადა, რომ ბირმინგემის მახლობლად მდებარე გაყინული ტბიდან გამოყვანილი რამდენიმე ადამიანი კრიტიკულ მდგომარეობაშია. დასავლეთ მიდლენდის სახანძრო სამსახურის ცნობით, ტურისტები ცინულზე სრიალებდნენ ბაბს მილ პარკში, რა დროსაც ცინული ჩატიყდა და ტბაში ჩაცვივდნენ.

ტურისტები კლინიკაში გადაიყვანეს. მათი მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა. მეტეოოფისის სპიკერმა მოსახლეობა ცინულის საფრთხის შესახებ გააფრთხილა.

## ტრამპს ნებსები არ დაურღვევიან...



ილონ მასკი აცხადებს, რომ აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტ დონალდ ტრამპს არ დაურღვევია სოციალური ქსელ „ტივიტერის“ წესები და ის ზენოლის გამო დაბლოკეს.

„ასობით აქტივისტი თანამშრომლის ზენოლის შედეგად „ტივიტერმა“ დაბლოკა ტრამპი, მოქმედი პრეზიდენტი, იმის მიუხედავად, რომ ის-ინი თავად აცნობიერებდნენ, მას არ დაურღვევია წესები“, - დაწერა მასკმა. ილონ მასკმა „ტივიტერში“ აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის ანგარიში გასულ თვეში აღადგინა, მანამდე აღნიშნულ საკითხზე სოციალურ ქსელის მომხმარებლებში გამოკითხვა ჩაატარა. დონალდ ტრამპის ანგარიში სოციალურ ქსელ „ტივიტერში“ 2021 წლის 6 იანვარს ტრამპის მომხრეების მიერ კაპიტოლიუმზე შტურმის შემდეგ დაბლოკეს. კომპანიაში მაშინ განაცხადეს, რომ ეს აკრძალვა უკავშირდებოდა ძალადობისკენ წაქეზების რისკს.

## „ორიონი“ დაამინაზე დაბრუნდა

ამერიკულ უბილოტო კოსმოსური სომალდის „ორიონის“ კაფსული დედამიწაზე დაბრუნდა. კაფსული წყნარ ოკეანეში, კუნძულ გვადალუპესთან დაეშვა.



„ორიონი“, რომლის ბორტზეც 3 მანეკენი იყო მოთავსებული 16 ნოემბერს, პროგრამა „Artemis“-ის ფარგლებში გაუშვეს. 25-დღიანი მისიის მსვლელობისას „ორიონმა“ მთვარეს ორჯერ შემოუფრინა. გაშვების მიზანი იყო როგორც თვითონ სომალდის შემოწმება, ასევე იმის შემოწმება თუ რა დატვირთვას განიცდიან ადამიანები ასეთი ფრენის დროს. „ორიონის“ გაშვება მისიის Artemis 1 ნაწილია. 2024 წელს კი მისიის Artemis 2 ფარგლებში დედამიწის თანამგზავრზე 4 ასტრონავტი გაფრინდება, 2025 წელს კი Artemis 3-ის ფარგლებში ასტრონავტები მთვარის ზედაპირზე გავლენ.

**სრ**

უსტორიკული ვალუტის კარსი:  
 აშუ ფოლარი - 2.6773; პირი - 2.8283;  
 ბრიტანული პირანა სტერლინგი - 3.2899;  
 100 რუბლი - 4.2707; თურქული ლირა - 0.1437;  
 ანკარაპირანილი მანათი - 1.5779;  
 1000 სომხური დრამი - 6.7780

**აპინდი 14 დეკემბრისთვის**

აღმოსავლეთი საქართველო:

ბარი -	ლაშ	-1,	ლაშ +14
მთიანი რაიონები -	ლაშ	-4,	ლაშ +12

დასავლეთი საქართველო:

ბარი -	ლაშ	+5,	ლაშ +18
მთიანი რაიონები -	ლაშ	0,	ლაშ +15
თბილისი:	ლაშ	+4,	ლაშ +13

დაგვიკავით, მოგვწერით:  
 ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35  
 ელ. ფოსტა: **sakresp@top.ge**  
 და **sakresp@mail.ru**  
 ვებ-გვერდი: **www.sakresp.ge**

**საქართველოს  
რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS  
REPUBLIKA**  
 ჭავჭავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი  
**სპარტაკ ძოგულია**  
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
**გურამ გომიაშვილი**  
 599 53-76-16;  
**ალექო**  
**ასლანიშვილი**  
 599 56-81-86;  
 პასუხისმგებელი მდივანი  
**მამუკა ვაშაქიძე**  
 514 33-33-24

**გამომცემლობა:**  
 შპს „ახალი საუკუნე –  
 გაზეთ „საქართველოს  
 რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
 599 53-76-16; 599 36-00-35  
 შპს „თანამშრომელ-გაზეთ  
 „საქართველოს რესპუბლიკის“  
 გამომცემელი“  
 ტ: 599 79-76-79  
 იზაქიძის სტამბა  
 „კოლორი“  
 ე. პალდავაძის №3

**კოდონ**  
 ჰაუფი

uac(უაკ)070.4(479.22)  
 ს-323

2 009882 616932

**ავტორთა  
საზოგადოებრივი  
რედაქციის მიერ  
შეუპყრთავი მასალა  
დაიბეჭდება**  
**ავტორთა ხარჯით.**  
 ავტორთა მოსახრება-  
 ზი, შესაქლოა, გულამ  
 არ ემთხვეოდეს  
 რედაქციის პოზიციას.  
 ფაქტების  
 სიუსტემაზე პასუხს  
 ავტორთა ავტორები.

**გაზეთის  
მომწოდებელი  
ნომერი  
გამოვა  
სვალ,  
15 დეკემბერს**